პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 8 ივლისი 1989 წელი ● № 28 (2853) ● СУББОТА, 8 ИЮЛЯ 1989 г.

### В ПОЛИТИЧЕСКОМ ОТДЕЛЕ МВД ГССР

## СОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПАРТИЙНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ РАБОТУ

ПРОЦЕСС перестройки стиля и методов работы органов внутренних дел диктует необходимость дальнейшей активизации партийно-политической работы, предъявляет повышенные требования к деятельности политработников. Недавно в политическом отделе МВД ГССР был рассмотрен вопрос о работе политотдела УВД Тбилгорисполкома по подготовке личного состава к действиям в условиях расширения демократии и гласности.

Было отмечено, что организация партийно-политической работы с личным составом политотделом УВД г. Тбилиси в период с октября 1988 года основывалась на анализе происходящих в городе и в республике в целом процессов, связанных с активизацией деятельности неформальных объединений крайнего толка.

В этот сложный для жизни города период личный состав Тбилисского гарнизона не допускал массовых беспорядков, хулиганства и чрезвычайных происшествий во время движения митингующих и в районах скопления людей.

Исходя из обстановки, основные усилия партийно-политической работы были сосредоточены на разъяснительной работе среди личного состава, задействованного в мероприятиях, недопущении попадания сотрудников под влияние неформалов, вовлечения их в возможные провокации.

В условиях высоких физических нагрузок и психологической напряженности особое внимание уделялось организации необходимого отдыха личного состава и питания по месту несения службы, возможности приведения в порядок внешнего вида. Политработники строевых подразделений и райотделов г. Тбилиси постоянно находились с личным составом.

В ночь на 9 апреля во время пресечения митинга с учетом ситуации и с целью предотвращения возможных

(Окончание на 2-ой стр.).

### 12 ივლისი დედაქალაქში გამოცხადებულია უმანქანო დღედ

## საინტერესო ექსპერიმენტი

დიდი ხანია განგაში ავტეხეთ. ეკოლოგიურად ჩვენი რესპუბლიკა საგანგაშო მდგომარეობაშიაო. ვწერთ გაზეთებში, ვამზადებთ ტელე და რადიო გადაცემებს, მაგრამ არის ამის კონკრეტული შედეგი? ...ჰაერი ისევ გაჭუჭყიანებულია, მდინარეები და ზღვა გაბინძურებული, მეწყერი და ზვავები თავს არ გვანებებს.

გართულებულმა ეკოლოგიურმა მდგომარეობამ გვიკარნახა გვეძებნა სხვადასხვა გამოსავალი, თავის ხსნის საშუალებები.

ამ მიზანს ემსახურება მიმდინარე წლის ივლისის ღონისძიებაც. ეს დღე ქალაქში გამოცხადებულია უმანქანო დღედ. მისი ინიციატორია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშა ჯგუფი, ჩვენთვის მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის სახელწოდებით ცნობილი.

რას ითვალისწინებს ეს ღონისძიება კონკრეტულად. უპირველესად ამ დღეს ქალაქში არ იმოძრავებს საკუთარი ავტომანქანები, საკუთარი ტაქსები, სხვადასხვა არასპეციალური დანიშნულების ტრანსპორტი. ივლის მხოლოდ საქალაქო ტრანსპორტი და სპეციალური დანიშნულების მანქანები. რადგან თუ სტატისტიკას გადავხედავთ, დედაქალაქში ყოველდღიურად მოძრაობს 1500-ზე მეტი მანქანა. (ამაში არ შედის ტროლეიბუსები, ტრამვაი, სამხედრო ტრანსპორტი).

ეს ღონისძიება პირველად ტარდება ჩვენს დედაქალაქში, ექსპერიმენტის სახით, ამიტომ ის საინტერესოა ყველასათვის. მან უნდა მოგვცეს სასურველი შედეგი, რადგან ამ ტრადიციის კარგი გამოცდილება არსებობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში: გფრ, იტალიაში (იქ ასეთი დღე კვირაში ერთხელ ცხადდება). ჩვენი მიზანია გავაუმჯობესოთ ჰაერი, რომლითაც სუნთქავს მილიონიანი ქალაქი. წარმოიდგინეთ 1500 მანქანის გამონაბოლქვი რომ არ შეერევა ჰაერს. თანაც დაიზოგება დიდი რაოდენობის საწვავი. ეს ექსპერიმენტი ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს არა მარტო თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც — განაცხადა სახ. ავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა რობერტ იანტბელიძემ.

დედაქალაქში სულ 2700 ქუჩაა. აქედან თითზე ჩამოსათვლელი გვაქვს პროსპექტები. დანარჩენი ვიწრო ქუჩებია. ამასთანავე თბილისის რელიეფურობაც ართულებს მდგომარეობას. ჩვენი დედაქალაქი ნაკლებ გამტარუნარიანია.

ბევრი რამ 12 ივლისს მოქალაქეთა თვითშეგნებაზე იქნება დამოკიდებული. იცით, ეს ღონისძიება პირველად ტარდება ჩვენთან და რაიმე რადიკალური ზომების მიღება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. — გვითხრა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შს სამმართველოს სახ. საავტომობილო ინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ჯგუფის უფროსმა, მილიციის მაიორმა რუბენ ფერაძემ. დე, თვით ადამიანებმა იმოქმედონ გულის კარნახით. ჰაერის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლა ხომ მთელი საქართველოს საქმეა.

არ არის გამორიცხული ხარვეზებიც, მაგრამ მთავარია ჩვენ პრაქტიკა მივიღოთ, ვისწავლოთ, შედეგი იყოს სასურველი და დამაკმაყოფილებელი. და თუ ეს ასე იქნება სამომავლოდ ის უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს, უფრო სისტემატიური გახდება. მთავარია საზოგადოებამ მიიღოს ეს წინადადება და შეაფასოს მისი დადებითი კუთხე. მე მგონი დროა ვიზრუნოთ სამომავლოდ იმაზეც, რომ თბილისის ზოგიერთ ქუჩებში საერთოდ არ იყოს ტრანსპორტის მოძრაობა. მაგალითად ლესელიძის ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე, დავით აღმაშენებლის გამზირზე და ა. შ.

ტყუილად როდი ახსენა ბატონმა რუბენმა ადამიანთა თვითშეგნება. მართლაც თუ თითოეულმა ჩვენთაგანმა არ გაითავისა ეკოლოგიური პრობლემის სიმწვავე, მისი უარყოფითი მხარე, შეიძლება კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ. გვიანი რომ არ იყოს თითქოს კბენანი, მოდით გვერდში ამოვუდგეთ ამ წამოწყების ინიციატორებს და გავაკეთოთ ჩვენზე დამოკიდებული შესაძლებლობის მაქსიმუმი.

მ. ნოსიძე.

# ვის აძლევს ხელს მეროვნული შუღლი?!

### ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტების ს. ალავიძის და ა. მალაიან-ცის რეპორტაჟი ქვემო ქართლიდან.

ვინ მოსთვლის უკვე მერამდენედ გვიხდება რედაქციის თანამშრომლებს ქვემო ქართლის „მეგობრობის გზით" ფრიად არასასიამოვნო მიზეზებით მგზავრობა.

სწორედ „მეგობრობის გზა" დაარქვეს თბილისი-ლენინაკანის გზას, რომელიც იმ დღეებში მხოლოდ ერთადერთი სასიცოცხლო წყარო იყო მიწიდან აღგვილი მოძმე სომხეთისათვის. მივდიოდით სპიტაკში ამ ტრაგედიით გულის სიღრმემდე შეძრულები და მთელი მოგზაურობის მანძილზე ის გვანუგეშებდა, რომ გზა მხოლოდ ერთი მიმართულებით იყო გადატვირთული, ე. ი. სომეხი ხალხი მარტო არავის დაუტოვებია, მათთან იყო მთელი საბჭოთა ხალხი. ეს არ იყო მხოლოდ მათი ეროვნული ტრაგედია, ეს საერთო სახალხო ტრაგედია იყო, ეროვნულ დიფერენციაციაზე არავის უფიქრია...

საცარიელეა ახლა ამ ხმაურსა და სიცოცხლეს მიჩვეულ გზაზე, მოძრაობა შეზღუდულია, მოქმედებს სასაშვო სისტემა...

1987 წლის გაზაფხული ტრაგიკული გამოდგა ზემო სვანეთისა და მთიანი აჭარის მოსახლეობისათვის, ტრაგიკული გამოდგა იგი ვახიდ მამედოვის ოჯახისთვისაც, რომელიც ასე ახლობელი გახდა მთელი ქართველი ერისათვის, ის ქართველი ერის შვილად აღიარეს.

ვის აწყობს შუღლი? ვის აძლევს ხელს არეულობა?

ჩვენი პირველი გაჩერება ქ. მარნეულის შესასვლელთან მოხდა, აქ საკავშირო შს სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მსმენელებს დაუდევთ „ბინა". სკოლის ხელმძღვანელობისა და პედკოლექტივის ზრუნვით ცხოვრებისა და მუშაობის სათანადო პირობაა შექმნილი. საგუშაგოს ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ზ. გვიშიანი:



1. „კარვების ქალაქი" — ქ. მარნეულის შესასვლელთან.

— ჩვენი საგუშაგო 1 ივლისიდან მოქმედებს, ოთხი დღის განმავლობაში არავითარი სერიოზული დარღვევა არ მომხდარა. მართალია ამოვიღეთ რამოდენიმე ცივი იარაღი, მაგრამ ასეთი შემთხვევები თანდათან მცირდება, ეს კი უდაოდ მდგომარეობის სტაბილიზაციაზე მიგვანიშნებს.

4 ივლისს ჩვენს „კარვების ქალაქში" მოეწყო მარნეულის რაიონის ავლანელ მეომართა საინიციატივო ჯგუფისა და ჩვენი მსმენელების შეხვედრა, სადაც კონკრეტულად გამოიკვეთა ინტერნაციონალისტთა მყარი პოზიცია მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის...

ეს დღეები სკოლაში მიმდინარე სესიებს დაემთხვა, სკოლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ცხრილი არ შეეცვალა და გამოცდების ჩატარება ცოტა ექსტრაორდინალურ პირობებში გვიწევს, სწორედ დღეს დილით პირველი კურსის მსმენელებმა ჩააბარეს ჩათვლა სპეცტაქტიკა-



2. მორიგი შემოწმებისას.

ში, შედეგი საველე პირობებშიც დამაკმაყოფილებელია.

ჩვენი საუბარი მორიგმა შემოწმებამ შეწყვიტა. თბილისიდან მანქანების ორგანიზებული კოლონა მოდიოდა, როგორც გაირკვა ეს კოლონა ეკუთვნოდა საქართველოს და აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ჯგუფებს, რომლებიც მიემგზავრებოდნენ მარნეულისა და ბოლნისის რაიონის სოფლებში, რათა ხალხისათვის ერთობლივი ძალისხმევით განემარტათ, რომ ყველაფერი ერთეულთა ბნელი და უხილავი ხელების ნამოქმედარია, საჭიროა გონიერების მოხმობა. მართალია ავტომანქანებიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა სპეც-საშვი, მაგრამ საგუშაგოს ხელმძღვანელობამ სათანადო შემოწმების შემდეგ კოლონა დანიშნული მიმართულებით გაატარა. ეს კომპრომისი საერთო მიზნისა და სურვილის, მდგომარეობის განმუხტვისა და ერთა შორის სიმშვიდის დამკვიდრებით იყო ნაკარნახევი.

ჩვენი გაჩერების შემდეგი პუნქტი მარნეულის შს რაიგანყოფილება იყო, ჩვენი ვიზიტი რაიონის სოფლებში მორიგი [illegible] ოპერატიული შტაბის წევრთა დაბრუნებას დაემთხვა. შტაბს ხელმძღვანელობს შს მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი თ. ეპიტაშვილი:

— თითქმის ორი კვირა გავიდა რაც რესპუბლიკის მოსახლეობა ქვემო ქართლის მაჯისცემით ცხოვრობს, თავიდან მდგომარეობა მართლაც დაძაბული იყო... სხვადასხვა რეგიონებიდანაც მოგვიხდა ძალების მობილიზება. ყველასათვის კარგად ცნობილი კონფლიქტის შემდეგ ოპერატიულად იქნა გატარებული ყველა სახის პროფილაქტიკური ღონისძიება, რათა თავიდან აგვეცილებინა ერთა დაპირისპირება. რაიონისა და ქალაქის შს განყოფილების ხელმძღვანელებმა შექმნილ შტაბთან ერთად მრავალი უძილო ღამეები გაატარეს, რათა დაკავშირებოდნენ მოსახლეობას, ყველა სოფლამდე მიეტანათ თავიანთი სათქმელი, გაერკვიათ მოსახლეობა სიტუაციაში. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო, ხა-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).



3. საქართველოს და აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წევრები აქ საერთო სატკივარმა მოიყვანა.

# ვის აძლევს ხელს ეროვნული შუღლი?!

(დასასრული).

ლხი ერთხმად გმობს ყველა პროვოკაციულ გამოხდომებს და ერთმანეთს მოუწოდებენ არ აჰყვნენ მათ. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ 15 სოფლის საბჭო ყოველდღიურად გვაწვდის დამხმარე ძალას, სახალხო რაზმელებს, რომლებიც ჩვენი მილიციის განაწესებთან ერთად ამოწმებენ ავტოტრანსპორტს, იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს და ა. შ.



4. შს მინისტრის მოადგილე თ. ეპიტაშვილი მორიგ შემოვლაზე გასვლის წინ მითითებას აძლევს შს მარნეულის რაიგანყოფილების თანამშრომლებს.

ქალაქში დადის ჭორი, თითქოს 8 ივლისს რომელიღაც მუსულმანურ დღესასწაულთან დაკავშირებით მოსალოდნელია მრავალათასიანი გამოსვლები, ასეთი ჭორი უსაფუძვლოა, უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მსგავსი რამ არ მოხდეს.

საერთოდ რაიონის მასშტაბით ოპერატიული მდგომარეობა სტაბილურია. ამ დღეების განმავლობაში ამოღებულია 331 ერთეული ცივი იარაღი, აღძრულია ორი სისხლის სამართლის საქმე... ყველა თანამშრომელს და მოქალაქეს მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ სიმშვიდე და ნორმალური ცხოვრების რითმი მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით იქნება აღდგენილი...

პირველი დღეების დაძაბულობის გეოგრაფია მარნეულიდან ბოლნისისაკენ განვითარდა. აქ მოხდა შეტაკება, სწორედ აქ, სულხან-საბას მიწაზე, ბოროტ ძალებს უნდოდათ წყლის ამღვრევა, ათწლეულების მანძილზე გვერდიგვერდ მცხოვრები ერების დაპირისპირება, საშინელი შუღლის ჩამოგდება. დღესდღეობით მდგომარეობა ბოლნისის რაიონში სტაბილურია. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში რაიმე სერიოზული დარღვევა არ მომხდარა, თუმცა ოპერატიული ჯგუფების მიერ ამოღებულია 20 ბოთლი აალებადი სითხე და 55 სანადირო თოფი.



5. მორიგი თათბირი შს დმანისის რაიგანყოფილებაში.

არ უნდა დავივიწყოთ რომ, ყოველი ამოღებული თოფი თუ ცივი იარაღი თავიდან აცილებული ახალი შეტაკება თუ სისხლის სამართლის დანაშაულია.

მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა, ამინდიც საერთო განწყობილებას ერწყმოდა, მთელი კვირა პაპანაქება სიცხე იყო, დღეს კი უცებ თავსხმა წამოვიდა.. მთელი ცხოვრება ერთმანეთის გვერდიგვერდ უცხოვრიათ, უშრომიათ და ახლა ვის აძლევს ყოველივე ეს ხელს? ვის მოსურვებია სხვის ხანძარზე ხელების თბობა?

ჩვენი შეხვედრა დმანისის შს რაიგანყოფილების პოლიტნაწილში უფროსის მოადგილის, მილიციის კაპიტან მ. გარაკლოვის კაბინეტში შედგა, ოპერატიული შტაბის უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი გ. ბიჭაშვილი, რაიგანყოფილების უფროსი მილიციის კაპიტანი რ. კავლელაშვილი მორიგ შემოვლაზე იმყოფებოდნენ, თუმცა მოგვიანებით დასველებული დაბრუნდნენ განყოფილებაში და შტაბის უფროსმა ბოლო დღეების ოპერატიულ ვითარებაზეც გვიამბო:

— მარნეულისა და ბოლნისის გამოძახილმა დმანისშიც სულ მალე გაიღო ექო, აზერბაიჯანელი მოსახლეობა სატვირთო ავტომანქანებზე „ამხედრებული" ცივი და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულნი ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ სვანების უბანში და თუ არა ჩვენი თანამშრომლების მამაცობა, ვინ იცის რა მოჰყვებოდა ამას, თუმცა ერთ-ერთი სატვირთო ავტომანქანის „ზილ-130" მძღოლმა ბ. ამიროვმა მანქანა დააჯახა რაიონის სახ. ავტოინსპექციის უფროსს, მილიციის ლეიტენანტ ლ. ტატუაშვილს, მიაყენა მას სხეულის დაზიანება, მეორე ავტომანქანის მძღოლი კი ცდილობდა გადაევლო ძირს დაცემული მილიციის თანამშრომლისათვის, მაგრამ მეორე თანამშრომლის გამაფრთხილებელმა ავტომატის ჯერმა დააფრთხო. თავდამსხმელების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან.

მთელი მობილიზებული ძალები მოწოდებული არიან რაიონის ტერიტორიაზე არ მოხდეს ანალოგიური შემთხვევა. ამ დღეების განმავლობაში რაიონში ამოღებულია 9 სანადირო თოფი, 70 ცივი იარაღი, ბოთლები აალებადი ნივთიერებებით.

ყოველ დილას, რაიონის შტაბის თათბირზე ვაანალიზებთ განვლილი დღის შედეგებს, ვამუშავებთ ოპერატიულ ინფორმაციებს და ვიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს, ყოველდღიური კავშირი გვაქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, დღეში რამოდენიმეჯერ ინფორმაცია მიდის მინისტრთან.

მდგომარეობა დღეს, ყველა კრიტერიუმით ნორმალურად ფასდება და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მოსახლეობა, რომელიც მშვიდობიან, ძმურ ცხოვრებას და შრომას არის მიჩვეული ერთეულების ბოროტი ზრახვებისა და ამბიციების მსხვერპლი არ გახდეს... შემდეგ კი ალბათ გაეცემა პასუხი კითხვას — თუ ვის აძლევს ხელს ეროვნული შუღლი?!



6. ყოველ ამ იარაღს შეეძლო დიდი უბედურების დატრიალება.

*თბილისში გამთენიისას ვბრუნდებოდით, საგუშაგოს ცხოვრება კვლავ მთელი მობილიზებით მიდიოდა. გავიარეთ ის პირველი საგუშაგო, საიდანაც ჩვენი რეპორტაჟი დაიწყო, ბიჭებო, შემდეგი გამოცდა სხვაგან პირობებში აღარ ჩაგებარებინოთ...*

გ. მგალობლიშვილის ფოტოები.

# СОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПАРТИЙНО–ПОЛИТИЧЕСКУЮ РАБОТУ

(ОКОНЧАНИЕ)

жертв личный состав обеспечил вывод с места происшествия голодавших, женщин, подростков, детей.

В период после трагических событий 9 апреля в целях пресечения всякого рода измышлений и слухов, предотвращения панических настроений, элементов растерянности повсеместно с личным составом были проведены политинформации, на которых дана оценка происшедшего. Особое внимание обращалось на психологическое состояние сотрудников, на их самообладание, выдержку и тактичное обращение с гражданами.

В экстремальных условиях особое внимание руководителей, политаппарата было обращено на необходимость ужесточения спроса за состояние дисциплины среди личного состава. Каждому факту нарушения незамедлительно давалась строгая, а порой суровая оценка и осуществлялось соответствующее реагирование. С 9 апреля за различные нарушения служебной дисциплины, невыполнение требований комендантского часа уволены из ОВД 5 сотрудников, 15 наказаны в дисциплинарном порядке, один привлечен к партийной ответственности. Все нарушители обсуждены в коллективах, на партийных и комсомольских собраниях.

Осуществленные меры обеспечили здоровый морально-политический климат среди личного состава УВД г. Тбилиси. За весь период действия комендантского часа и в последующем преступлений и нарушений соцзаконности, отказов от выполнения приказов сотрудниками не допущено. Абсолютное их большинство хорошо выполняли свои служебные обязанности, правильно понимали стоящие перед ОВД задачи. Жалоб на неправильное поведение сотрудников милиции от населения не поступало, не зафиксировано ни одного факта их участия в деятельности какой-либо неформальной организации.

После отмены комендантского часа основной упор в работе политаппарата и партийного актива города был сделан на укреплении взаимосвязи с общественностью, широком вовлечении ее в охрану общественного порядка, активно использовались возможности средств массовой информации.

Вместе с тем, происшедшие события со всей очевидностью высветили слабые места и недостатки в организации работы политаппарата УВД г. Тбилиси в экстремальных условиях. Прежде всего это выразилось в отсутствии у политработников четкой информации о характере, планах, формах действий неформальных организаций, данных о лидерах и активистах, которых многие сотрудники не знали в лицо, что не позволило своевременно принять контрпропагандистские меры среди личного состава. Не смогли организовать политработники в этой части контакты с населением, представителями неформальных объединений.

Неполно была организована соответствующая разъяснительная работа среди сотрудников гарнизона по нормативным документам, регламентирующим действия личного состава органов внутренних дел в экстремальных условиях. Не ознакомили их и со всеми разработанными планами действий подразделений во время событий, где указывались бы конкретные методы действий и конечные цели. В ряде случаев политработники подменяли руководителей подразделений, не занимались прямыми обязанностями.

В первые после 9 апреля дни на выявление основных направлений работы политработников и партийных организаций ОВД отрицательно влияло отсутствие полной и оперативной информации с мест о политико - моральном состоянии коллективов, настроениях сотрудников, присутствовавших на площади перед Домом правительства, причиной чего явилось неумение многих анализировать имеющуюся информацию, делать из нее правильные выводы и влиять на личный состав.

Характерным недостатком для руководителей и политработников низовых органов и подразделений явилось неумение конкретизировать стоящие задачи, исходя из быстро меняющейся оперативной обстановки, брать на себя ответственность за решение отдельных вопросов по ее стабилизации.

В условиях несения службы по усиленному варианту, перегруженности и усталости личного состава, для его мобилизации на начальном этапе недостаточно использовались меры морального и материального стимулирования.

С целью устранения имеющихся недостатков политотделу УВД Тбилгорисполкома поручено наметить и осуществить ряд конкретных мероприятий, направленных на улучшение действий личного состава в экстремальной ситуации, в том числе повысить эффективность взаимодействия с администрацией, партийными организациями предприятий и учреждений, советами трудовых коллективов, народными дружинами с целью проведения профилактической работы среди населения столицы республики. Подчеркивалась необходимость регулярного обучения личного состава формам и методам действий в экстремальной ситуации, соблюдения сотрудниками дисциплины и соцзаконности, правильного, тактичного обращения с гражданами, подбора, расстановки, выдвижения кадров, исходя из учета реальных деловых и моральных качеств сотрудников, проведения других необходимых мероприятий.

# „მასპინძელიც" ასეთი უნდა

**ყველაფერი** საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე არსებულ ლუდის ბარში დაიწყო. აქ გაიცნო ო. კიკაჩეიშვილმა ჩეჩენო-ინგუშეთის ასსრ-ს იუტოვსკის რაიონში მცხოვრები ზ. ახმაევი და ა. იუსუევი. კეთილი მასპინძლის გული აჩვენა ახლადგაცნობილებს და სახლში მიიპატიჟა. პირველად სტუმარ-მასპინძლობა თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ სულ მალე ო. კიკაჩეიშვილმა სახლში მიპატიჟების ნამდვილი განზრახვა გამოავლინა. ძალიან პარადოქსალურად ჟღერს და სრულიადაც არ თავსდება არცერთი დანაშაულებრივი ქცევის „ფარგლებში" მასპინძლის ყაჩაღური თავდასხმა სტუმრებზე, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. მაგრამ ვინც ო. კიკაჩეიშვილს იცნობს და სიმთვრალეში უნახავს იგი, არ გაუჭირდება ზემოთ ნათქვამის წარმოდგენა. გამძვინვარებული მხეცივით დაეტაკა სტუმრებს, ცემა უმოწყალოდ; (ურტყამდა სახისა და თავის არეში) სისხლში მოსვრილები იატაკზე დაყარა, ზ. ახმაევს ჯიბიდან ამოუღო 365-მან. და ჯიბის საათი. ა. იუსუევს შეახსნა ასევე საათი, ვენახის სასხლავი მაკრატლით დააძრო 1000-მანეთად ღირებული ოქროს კბილების პროტეზი, სათვალე, 37-მანეთი და მილიციის მუშაკების მისვლამდე მიიმალა. ჯერჯერობით მისი მილიციაში წარდგენა არ მოხერხდა. გამოცხადებულია ძებნა; ყაჩაღის ადგილსამყოფელს დავადგენთ.

აი, ასეთი მასპინძლობა გამოიჩინა ო. კიკაჩეიშვილმა.

უფრო სრულად, რომ წარმოვიდგინოთ დამნაშავის სახე, მისი წარსული „კაიკაცობის" ერთი მაგალითი უნდა გავიხსენოთ: 1982 წლის 16 აგვისტოს იგი სტუმრად მივიდა სოფ. დიდი ჯიხაიშში მცხოვრებ ნათესავთან, მამიდაშვილ რეზო ვაშაკიძესთან, როგორც ყოველთვის, ის ამჯერადაც ნასვამი იყო. მოხერხებული დრო იშოვა თუ არა, მასპინძლის კარადიდან მოიპარა ოქროს სამკაულები და მშვიდად გაუდგა გზას. მაგრამ ნაქურდალი არ შერჩა. სამკაულები, რომელთა ფასი 1147-მანეთს შეადგენდა, პატრონს დაუბრუნდა. დამნაშავემ კი სამი წელი გაატარა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. როგორც ხედავთ ო. კიკაჩეიშვილისაგან არც კეთილი მასპინძელი და არც სასურველი სტუმარი გამოვიდა.

ამით როდი მთავრდება ო. კიკაჩეიშვილის უკუღმართი ცხოვრების დანაშაულებრივი ავკაცობა, ამ დანაშაულამდე იგი ორჯერ იყო ნამყოფი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბოროტი ხულიგნობისათვის. პირველად 1973 წელს, ხოლო მეორედ 1979 წელს.

მკითხველს ბუნებრივია დაებადება ასეთი კითხვა: ამდენი ბოროტების ჩამდენი როგორ დასეირნობს თავისუფლად რაიონში, სამართალდამცავი ორგანოები რატომ ვერ უზრუნველყოფენ მასზე ისეთი კონტროლის დაწესებას, რომელიც გამორიცხავდა ამ დანაშაულების ჩადენას. შეკითხვა საფუძველს მოკლებული როდია, მაგრამ მარტო ჩვენი ძალებით არ მოხერხდება დამნაშავის სწორ გზაზე შემობრუნება. თუ ამ საქმეში აქტიურად არ ჩაება საზოგადოებაც.

**ა. ხაჟალია.**
მილიციის კაპიტანი, გამომძიებელი.

ПОД ОСТРЫМ УГЛОМ

# А ВОЗ И НЫНЕ ТАМ...

**СОДЕРЖАНИЕ** служебных помещений в нормальном состоянии является одной из основ качественной работы сотрудников ОВД. Пренебрежение этой простой на первый взгляд истиной часто ведет к снижению делового настроя сотрудников, а в определенной ситуации может привести и к тяжелам и непоправимым последствиям.

Тем не менее, ряд подразделений системы МВД республики явно не может пожаловаться на излишнее внимание со стороны службы и организаций министерства, ответственных за ремонт, либо реконструкцию служебных помещений. В полной мере это относится к подразделениям спецприемника и медвытрезвителя УВД Тбилгорисполкома, расположенным по улице Поцхверашвили, 11. Достоточно бегло взглянуть на запечатленное здесь нашим фотокорреспондентом состояние служебных помещений, чтобы понять, в сколь трудных условиях приходится работать коллективам этих организаций.

Здание, в котором они располагаются, одноэтажное, старой постройки, неоднократно подвергалось переделкам без учета сейсмических особенностей местности. После происшедшего более полугода назад в Армении разрушительного землетрясения, когда в Тбилиси сила толчков составила 6—7 баллов, здание спецприемника и медвытрезвителя получило повреждения и в настоящий момент находится в аварийном состоянии. После землетрясения раскрылись кладки стен, которые во многих местах отклонены от вертикального положения и имеют трещины, а элементы чердачного перекрытия практически и вовсе не имеют опоры. К этому надо добавить и интенсивное автотранспортное движение по ул. Поцхверашвили. Все это создает опасность здоровью и жизни людей, работающих под постоянной угрозой того, что здание в любую минуту может рухнуть им на голову.

«Учитывая создавшееся положение, мы с начальником спецприемника майором милиции И. Гигинейшвили не раз обращались в УВД Тбилгорисполкома и ОКС МВД ГССР по поводу ремонта здания или перевода наших подразделений в другие помещения, — говорит начальник медвытрезвителя подполковник милиции К. Шукакидзе. — В декабре 1988 года комиссия ОКСа во главе с начальником СПСБ МВД ГССР Т. Абашидзе и главным конструктором Р. Гудушаури, осмотрев здание, вынесла решение, в соответствии с которым для проведения ремонтных работ здание необходимо освободить. Однако затем, учитывая тот факт, что восстановительные работы связаны со значительными затратами, а здание в связи с реконструкцией вокзальной площади подлежит сносу, комиссия посчитала нецелесообразной его дальнейшую эксплуатацию. Заключение СПСБ МВД ГССР от 26 декабря было направлено в УВД г. Тбилиси, где под председательством заместителя начальника ОООП УВД Тбилгорисполкома полковника внутренней службы О. Гокадзе был рассмотрен вопрос о переходе наших подразделений на территорию УИ-123/4 УИД МВД ГССР, переданного недавно на баланс УВД Тбилгорисполкома».



Переход на новое место спецприемника и медвытрезвителя должен быть осуществлен после соответствующего ремонта и реконструкции территории. Переход, однако, затягивается ввиду того, что ХОЗО МВД ГССР (начальник — подполковник милиции С. Гамкрелидзе) не может приступить к ремонту и реконструкции территории бывшего учреждения, поскольку она не полностью освобождена — здесь осталась республиканская больница УИД МВД ГССР. Вокруг должна быть сооружена предупредительная ограда. Ее строительство, как сообщил нам начальник подразделения, обеспечивающего охрану больницы, полковник внутренней службы И. Фокин, должно было осуществляться строительно - монтажным управлением МВД ГССР.

«Основную ограду мы построили, — сказал в беседе с корреспондентами газеты начальник СМУ МВД ГССР Р. Чомахидзе. — Для строительства же предупредительной ограды нам нужен лесоматериал — около 60м³, который должен поставить нам хозяйственный отдел министерства».

Как видим, круг замкнулся, каждая из перечисленных выше организаций имеет к другой претензии, ждет от других активных действий, а воз, как говорится, и ныне там. Думается, всем этим организациям следует не отгораживаться друг от друга ведомственными барьерами, а наоборот, как можно скорее объединить усилия и в ближайшее время решить «проблему», помочь коллективам спецприемника и медвытрезвителя, создав им нормальные условия для работы. Ведь нельзя до бесконечности ссылаться на «объективные» трудности, когда под угрозой находится жизнь и безопасность людей...

**А. МАЛАЯНЦ.**

Фото Г. Мгалоблишвили.

# В интересах гражданской защиты

**Об отдельных актуальных вопросах и проблемах мобилизационной деятельности и гражданской обороны на современном этапе перед предстоящей комплексной проверкой оборонной работы в органах внутренних дел Грузии, рассказывается в публикуемом ниже материале.**

**СЕГОДНЯ** само понятие «чрезвычайное положение» и «особый период», его идеология и смысл претерпевают существенное изменение, резко смещаются с отдаленного и неопределенного интервала «Военного времени» на рельсы мирной жизни, в которой за последнее время возникает так много тревожных, катастрофических и взрывоопасных точек.

Парадоксально, но факт, что не военная ситуация и далеко даже не локальный ядерный конфликт, а катастрофы и бедствия в Чернобыле, Арзамасе, Армении, Башкирии и других регионах страны вывернули наизнанку нашу профессиональную несостоятельность и беспомощность, показали во внутриведомственном и общегосударственном масштабе плачевный результат безответственного, преступно халатного отношения к вопросам мобилизационной работы и гражданской обороны, если точнее, к гражданской защите.

Это в полной мере касается и органов внутренних дел, в профессиональной деятельности которых мобработа и ГО пока не заняли должного оперативного, управленческого места. Недооценка роли и значения этой работы в оперативно - служебной деятельности ГОРОВД со стороны некоторых руководителей управлений, служб и подразделений министерства дает о себе знать по конкретным, порой неудовлетворительным результатам основных направлений - оборонной работы.

Но вместе с тем можно ли работать на уровне современных требований и серьезно рассчитывать на желаемые результаты в обеспечении реальной готовности на «особый период», когда на сегодня нет научно обоснованных, до конца отработанных, максимально приближенных к жизни и достаточных на «особый период» правовых, материальных, организационно - управленческих, военно - экономических регламентаций и гарантий, которые определили бы в полной мере эффективность тактики и стратегии оборонной работы. Игнорирование этих вопросов, слабый их профессиональный учет, начиная с планирования, по существу обусловливает бумажно-бюрократический, формально-административный стиль работы, который слишком дорого обходится государству.

Очевидно, пора уже отрезвиться и выйти из заорганизованного, бумажно - документного дурмана, когда желаемое упрямо до безрассудства выдается за осуществленное.

Сегодня, если быть до конца откровенным, как это было сказано на коллегии МВД ГССР по вопросу о коренной перестройке гражданской обороны, на фоне происходящих катастроф и бедствий мы по существу играем в «бумажную оборону» для «самообороны» перед высшим начальством, накапливая массу объемных инструкций, наставлений, указаний, нормативных требований, планов на все экстремальные случаи жизни. Но как показывает практика, они зачастую работают только на бумаге. К тому же большинство этих документов остается у некоторых руководителей мертвым грузом макулатуры в сейфе, не используется для повседневного оперативного руководства и управления, хотя их целевое предназначение может и должно быть унифицированно использовано и в мирное время в оперативно - служебных целях при наличии на то должной заинтересованности, инициативности, а главное — соответствующих специальных знаний в рамках нашей компетенции. Более того, некоторые начальники как-то небрежно считают, что военно-мобилизационная работа и гражданская оборона — это, якобы, дело «пенсионное», что ВМО — отдел, изолированный от оперативно-служебной деятельности министерства. Это далеко не так. Он самостоятельный, но не изолированный от системы МВД отдел... Неужели трагические события последних лет не убедили отдельных скептиков в том, что не ухмыляться надо над ГО и мобработой, а сокрушаться над самим собой, над нашей несерьезностью, безответственностью и беспомощностью, которая бумерангом оборачивается тогда, когда бывает уже не до смеха и иронии, когда все мосты к спасению и сокращению жертв и ущерба сожжены, когда налицо результат далеко не мудрой практической политики в области гражданской защиты и обороны.

Бдительность и мобильность ОВД нужно обеспечивать не от «ЧП» до «ЧП». Надо постоянно быть начеку в полной оперативной и мобильной готовности к нетрадиционным действиям в условиях особого военно-правового режима. Это не лозунг и не декларация. Это неумолимое требование ядерного века, в котором степень риска мирового крушения может быть вызвана не только вероятностью санкционированного ядерного удара, но и так называемой «несанкционированной войны», обусловленной возможностью катастроф на АЭС, аварийных ситуаций на носителях ядерных боеголовок, оружия наземного и воздушного, подводного и надводного использования, не говоря уже о космическом пространстве.

Согласитесь, что начальник, который не владеет в достаточной мере элементарными основами, азбукой военно - мобилизационного дела, слабо разбирается в вопросах социальной профилактики, социально - экономической, военно - экономической, военно-географической, криминологической и демографической характеристик и оценок оперативной обстановки в обслуживаемом им регионе, не то чтобы на «особый период», но и в мирное время навряд ли сможет полноценно прогнозировать динамику преступности, целенаправленно управалять процессом борьбы с ней в эстремальных условиях мирного времени. Пока есть время, которое давно уже не ждет, начальники управлений и служб ГОРОВД должны очевидно решительно повернуться лицом к вопросам мобподготовки и гражданской обороны, так как ВМО решает не «свои», а «наши», общие задачи по обеспечению готовности системы министерства на «особый период», который дает о себе знать все чаще и чаще в мирное время.

Сегодня уже назрела необходимость в новом Положении о Гражданской обороне СССР, а также Положении о военно - мобилизационных органах, что позволило бы не на бумаге, а на деле привести в соответствие реальные возможности министерства с его потребностями на «особый период», гарантирующими хотя бы относительную жизнеспособность и жизнедеятельность личного состава. Кроме того в вопросах взаимодействия МВД с военными органами и погранвойсками, в частности, КЗакВО и КЗакПО, которые дислоцируются на территории республики, много еще неясных, закрытых и неотработанных вопросов, требующих централизованного и более четкого разъяснения и регламентации со стороны Министерства обороны СССР и МВД СССР, особенно с учетом стратегического пограничного положения нашей республики.

Знакомясь с опытом организации и управления ГО в капиталистических странах, невольно убеждаешься в приоритете их интеллектуального и военно-стратегического потенциала в этом, вопросе, который базируется на фундаментальной научной и материальной основе, а не на «наукоподобных и наукообразных догмах», модных и престижных лишь с точки зрения современной конъюнктуры.

Очевидно уже сегодня должны прорабатываться возможные варианты внедрения в практику мобработ и гражданской обороны элементов программирования, компьютеризации мобилизационной системы и ГО, с тем чтобы не гадать и не прогнозировать события на фишках бухгалтерских счетов, а делать это профессионально, на солидной основе.

Наверное есть также смысл шире знакомить руководящий состав министерства с опытом международной организации гражданской обороны (МОГО) по общим вопросам гражданской защиты и обороны развивающихся цивилизованных стран.

Все это поможет более профессионально и конструктивно решать поставленные перед нами задачи, исход которых зависит не только от Военно - мобилизационного отдела. Спрос должен быть с каждого «от и до».

**В. АБУЛАДЗЕ.**
**подполковник внутренней службы, начальник ВМО МВД ГССР.**

# ხანძარს აქრობს წყალი

**ამასწინათ** დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე ფოთვაჭრობის ყოფილ სასაწყობო შენობაში ხანძარი წარმოიშვა, ცეცხლის ალში იყო გახვეული სათავსოები, განსაკუთრებით ინტენსიური წვა მიმდინარეობდა სხვენის სათავსოში და იგი ვრცელდებოდა რკინაკავეულის მაღაზიისა და მისი საწყობისაკენ; საშიშროება შეექმნა სხვა მიმდებარე შენობა-ნაგებობებსაც, მაგრამ მეხანძრეებმა გამოიჩინეს მამაცობა და თავდადება. დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილის, შ/ს უფროსი ლეიტენანტის თ. ხაზალიას მეთაურობით. ხანძრის ქრობის ხელმძღვანელის — თ. ხაზალიას მიერ მიღებული სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების შედეგად ხანძარს არ მიეცა შემდგომი გავრცელების საშუალება და ლიკვიდირებულ იქნა წარმატებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხანძრის ქრობა მიმდინარეობდა სახანძრო ავტოცისტერნებიდან წყლის მოზიდვით, რაც ერთგვარად აფერხებდა ხანძრის ქრობას. ამით იმის თქმა გვინდა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ქალაქის წყალსადენის მაგისტრალებზე სახანძრო ჰიდრანტების დამონტაჟება. არადა ხანძარს მხოლოდ წყალი აქრობს. დიდი და რთული ხანძრების წარმატებით ქრობა ყოვლად შეუძლებელია წყლის მოზიდვით. წყალი ადგილზე უნდა იყოს. სამწუხაროდ, წყალსადენის სამმართველო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სახანძრო ჰიდრანტებით დასახელებული უბნებისა და ობიექტების უზრუნველყოფას.

„ხანძარს აქრობს წყალი“ — ასეთი სათაურით 1984 წლის 6 სექტემბრის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენციის პასუხად წყალსადენის სამმართველო იმავე წლის 18 ოქტომბრის გაზეთში იტყობინებოდა: — შემუშავებულია ღონისძიება ახალი ჰიდრანტების დასაყენებლად. სამმართველოს ადმინისტრაციამ დასვა საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე ჰიდრანტების და მის დასამონტაჟებლად საჭირო მასალების გამოსაყოფად.

მას შემდეგ ოთხ წელზე მეტი გავიდა, სიტყვა და საქმე ერთმანეთს დასცილდა, მდგომარეობა უცვლელი დარჩა. კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ წყალსადენის სამმართველოს ხელმძღვანელობას, რომ ხანძრის ქრობის მიზნებისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმეა და ოთხი წლის წინათ თქმული სიტყვა საქმედ უნდა იქცეს. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

**ლევთერ ჭოჭუა.**

ქ. ფოთი.

## НА КНИЖНУЮ ПОЛКУ




**ВЫШЛА в свет книга начальника политического отдела МВД Абхазской АССР полковника милиции кандидата исторических наук Э. Минасяна «Трудящиеся Абхазии—фронту (1941—1945)». В ней, по существу, впервые на основе солидной документальной базы показаны основные этапы возникновения, становления и развития в Абхазской АССР массовых, всенародных патриотических движений в помощь фронту.**

**В книге приводятся материалы, свидетельствующие о массовом стремлении трудящихся Абхазии добровольно участвовать в борьбе против фашистских захватчиков, показан боевой путь добровольцев — сынов Абхазии, покрывших себя неувядаемой славой на полях сражений.**

**ბენო** ყანჩაველს გული მიეცა.

— ხო, ბატონო ტერენტი, ცუდი წინადადება არ არის, იქნება გავიდეთ პიროვნებაზე? — უთხრა ყანჩაველმა და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — საკავშირო სამინისტროს შეიძლება ასეთი დაწვრილებითი ცნობები არ ჰქონდეს, როგორიც თითოეულ რესპუბლიკას ან რომელიმე დიდ ქალაქს, რადგან საკავშირო საინფორმაციო ცენტრში ყოველთვის მშრალი ცნობები ინახება, ადგილებზე კი მუდამ დაწვრილებით არის ცნობილი ამა თუ იმ პიროვნებაზე, დამნაშავეზე, თითების ანაბეჭდებზე, ან ამა თუ იმ შემთხვევაზე.

— ერთი ეს ამიხსენი ბენო — გასულხანიშვილთან ამ დროს გამომძიებელი ყანჩაველი [illegible] და ორივე ერთად ადგენდნენ ელისო ჯაველიშვილის დამატებითი დაკითხვის გეგმას.

მოახსენეს თუ არა ჯაველიშვილის მოსვლა, სულხანიშვილმა და ყანჩაველმა უკანასკნელი ღონისძიებები შეიმუშავეს და გამომძიებელი გამოვიდა სულხანიშვილის ოთახიდან. სულხანიშვილმა კი მარტო მიიღო ელისო ჯაველიშვილი.

რა ისაუბრეს სულხანიშვილმა და ჯაველიშვილმა ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ დაახლოებით 40 წუთის შემდეგ სულხანიშვილმა ტელეფონით შეატყობინა ყანჩაველს, რომ მასთან არის ჯაველი-

**ზ. გოგია**

# „თანამედროვე აჩა“

## (დოკუმენტური რომანი)

დავიდა სულ სხვა ტონზე სულხანიშვილი, — ვფიქრობ რამდენი ხანია და ვერ ამიხსნია — უთხრა სულხანიშვილმა ყანჩაველს, როცა მასალების გაგზავნის შესახებ ყველაფერი მოუყვა. — ბალაშვილების ექსპერტის დასკვნით ნინო ბალაშვილის საწოლის თავზე აღმოჩნდა დამნაშავის ოთხი თითის ანაბეჭდი, როგორ და რანაირად შეიძლებოდა იქ, საწოლის თავზე, დამნაშავეს დაეტოვებინა თითების ანაბეჭდები? იქნება შენ მაინც ამიხსნა ეს?

არა და მართლაც ასე იყო, ნინო ბალაშვილის საწოლის თავზე იყო დამნაშავის მარცხენა ხელის ოთხი თითის ანაბეჭდი. რა უნდოდა იქ თითებს? რატომ უნდა წაევლო დამნაშავეს საწოლზე ხელი? როგორი ვერსია არ შეიმუშავეს, როგორ არ გაიაზრეს, მაგრამ მაინც ვერ ახსნეს თუ რატომ უნდა დაეტოვებინა დამნაშავეს თითების ანაბეჭდები საწოლზე. რკინის ყუთი, „სეიფი“, იდგა სულ სხვა კედელთან, სულ სხვა მხარეს, ვიდრე ნინო ბალაშვილის საწოლი. საწოლი იდგა ოთახში, შესასვლელი კარებიდან მარცხენა მხარეს, ფანჯრის ქვეშ, „სეიფი“ კი იდგა შესასვლელი კარებიდან მარჯვენა მხარის კედელთან, სასადილო მაგიდასა და ჭურჭლის კარადას შორის. ნინოს საწოლსა და სასადილო მაგიდას შორის სულ ცოტა 2,5 მეტრი მაინც იყო, ასე რომ დამნაშავეს შეეძლო თავისუფლად გასულიყო „სეიფამდე“, სულაც არ სჭირდებოდა მარცხნივ, ნინოს საწოლისაკენ, წასვლა. დავუშვათ ნინომ წამოიწია, დამნაშავე მიდის და თავში არტყამს. თავში დარტყმისას საწოლის თავზე დაყრდნობა რაიმე აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ამავე დროს ასეთი გამოცდილი ქურდი ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა.

მაშ როგორ გაჩნდა თითების, ისიც ოთხი თითის, ანაბეჭდი საწოლის თავზე? ცხადი იყო, რომ რაღაცა გარემოებამ განაპირობა ეს ყველაფერი, მაგრამ რამ? ვერა და ვერ აეხსნათ ეს თავსატეხი.

რა უნდოდა იქით საწოლისაკენ? ეს გასაგებია, დავუშვათ ბავშვის გათიშვის მიზნით, მაგრამ ხელის ჩავლება, მოკიდება საწოლის თავზე გაუგებარია, რა მოხდა?

დღის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ელისო ჯაველიშვილი დილის ქვეგანყოფილებაში მივიდა ქვეგანყოფილების მორიგესთან. მორიგე წინასწარ იყო გაფრთხილებული და ჯაველიშვილის მოსვლის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენეს სულხანიშვილს.

შვილი და ახლა დასაკითხავად მასთან შეიყვანენ. ორი წუთიც და მორიგემ გამომძიებლის ოთახში ჯაველიშვილი შეიყვანა.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ქვეგანყოფილების უფროსის განკარგულებით შემოვიყვანე მოქალაქე ელისო ჯაველიშვილი — მოახსენა მორიგემ გამომძიებელს შესვლისთანავე.

გამომძიებელმა მორიგე გაანთავისუფლა, წამოდგა, სკამი შესთავაზა ჯაველიშვილს, თვითონ კი თავის ადგილზე დაჯდა. შემდეგ თავმომწონედ გადაისვა თავზე ხელი, რომელზედაც უკვე თითზე ჩამოსათვლელი თმებიღა შერჩენოდა და შემდეგ ოფიციალურ ტონზე გადავიდა.

დაკითხვისას ელისო ჯაველიშვილს ახალი არაფერი არ უთქვამს, ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც პირველი ჩვენებისას თქვა. შუა დაკითხვისას სთხოვა გამომძიებელს:

— თუ შეიძლება ქურქს გავიხდი — და სკამიდან წამოდგა.

— კი ბატონო — წამოდგა გამომძიებელიც, ჩამოართვა ქურქი და საკიდზე ჩამოკიდა.

დაკითხვამ სამი საათი გასტანა. არაფერი ახალი არ ითქვა, გარდა იმისა, რომ ამ დღეებში ჯაველიშვილი თითქმის მთელ დღეებს შოთა ბალაშვილის სახლში ატარებდა, ხან მის ლოგინთან და უვლიდა ავადმყოფს, ხან სამზარეულოში; რათა შოთა ბალაშვილის ცოლისათვის და ნინოსათვის, რომლებიც საავადმყოფოში იწვნენ, საუზმე, სადილი და ვახშამი მოემზადებინა.

კითხვაზე „იცოდით თუ არა, რომ ბალაშვილების ოჯახში იმ დღეებში დიდი რაოდენობით ფული ინახებოდა“, ჯაველიშვილმა, როგორც პირველ კითხვაზე, ახლაც უარყოფითად უპასუხა.

დადგა დრო, როდესაც მთავარი უნდა ეუწყებინათ ელისო ჯაველიშვილისათვის, მართალია საამისოდ არავითარი საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ დიდი ხნის აწონ-დაწონვისა და რამდენიმე დღეღამის მოფიქრების შემდეგ შემდგარი გეგმის მიხედვით ასე იყო გათვალისწინებული. იმ დროს, როდესაც ელისო ჯაველიშვილმა ფანჯარაში გაიხედა და შეამჩნია, რომ უკვე დაბნელებულიყო, საათზე დაიხედა და სთქვა:

— უუჰ! რა დრო გასულა, უკვე შვიდი საათია, როდისღა მივალ სახლში! — და გამომძიებელს ისეთი მუდარის თვალით შეხედა, რომ გამომძიებელმა ვერ გაუძლო და თვალები დახარა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ №№ 21-27

СПОРТ

# ПОБЕДИЛИ СИЛЬНЕЙШИЕ

**НА ДНЯХ** на стрельбище Абхазского совета «Динамо» в Эшерах завершился лично-командный чемпионат МВД Грузинской ССР по стрельбе из боевого оружия.

В соревнованиях приняли участие спортсмены сборных команд МВД Аджарской и Абхазской АССР, УВД г. Тбилиси и Юго-Осетии, РОВД Цители-Цкаро и сборные ТФМВШМ МВД СССР и ГУВДТ.

К сожалению по ряду объективных причин не смогли участвовать в соревнованиях такие сильные коллективы, как сборные УВД гг. Кутаиси и Рустави. Абсолютно неподготовленными и приехали на соревнования сотрудники УВД Юго-Осетии, слабо выступили команды МВД Аджарии и УВД Тбилиси.

В результате двухдневной упорной борьбы в командном первенстве победителями стали стрелки сборной команды МВД Абхазской АССР (капитан команды, капитан милиции М. Борисенко), второе место у представителей ТФМВШМ МВД СССР, а третье призовое место впервые заняли сотрудники УИД МВД ГССР.

А вот и имена победителей в личных соревнованиях:

в стрельбе из пистолета Макарова в упражнениях ПМ-3 и ПМ-4 чемпионом МВД ГССР стал сержант милиции В. Салецкий (МВД Абхазской АССР), в упражнении ПМ-6 победителем стал старший лейтенант внутренней службы Р. Арешидзе (УИД МВД ГССР). В стрельбе из автомата Калашникова в упражнении АК-3 первенствовал старший лейтенант внутренней службы З. Такашвили (УВД г. Тбилиси), а лучшим в упражнении АК-4 был лейтенант милиции Н. Будка (ГУВДТ).

СПОРТ

**НА НЕДАВНО закончившемся чемпионате МВД СССР по самозащите без оружия, который проходил в Саратове, трое наших сотрудников стали чемпионами и первыми в республике выполнили норматив мастера по этому виду спорта.**

**Этого успеха добились участковый инспектор Гурджаанского РОВД лейтенант милиции Т. Арабули, слушатель ТФМВШМ МВД СССР Ш. Талахадзе и пожарный СВПЧ-2 г. Тбилиси рядовой И. Джичошвили.**

**Сегодня мы рассказываем**

# Палаван из Кахетии



**об одном из них. Теймураз Арабули вольной борьбой начал заниматься еще в детстве, когда учился в Ахметской средней школе, откуда он сам родом, был кандидатом в мастера спорта. Во время службы в рядах Советской Армии переквалифицировался на дзю-до и за два года стал мастером спорта. После демобилизации палаван из села Кистаури поступает на работу в пожарную часть района имени 26 комиссаров города Тбилиси.**

**Молодой боец огненного фронта без отрыва от работы заканчивает Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР и по распределению продолжает службу в Гурджаанском РОВД дежурным ПЦО в отделе ведомственной охраны, а затем участковым инспектором.**

**За время учебы в ТФМВШМ МВД СССР Арабули под руководством преподавателя физвоспитания я капитана милиции Г. Папунашвили осваивает элементы самозащиты без оружия и вскоре добивается успеха — становится чемпионом Грузии, призером чемпионатов МВД СССР, а в нынешнем году становится победителем чемпионата МВД СССР и выполняет норматив мастера спорта.**

**За успешное выступление на чемпионате МВД СССР Т. Арабули награжден ценным подарком, который вручил ему министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.**

**Новых успехов тебе, палаван из Кахетии!**

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

* * *

**НА СНИМКЕ: в свободное от работы время Т. Арабули с удовольствием обучает товарищей - сотрудников приемам самозащиты без оружия.**

## КАЛЕЙДОСКОП

### ХУЛИГАНЫ НА ПРОКОРМЕ

**ПО МЕНЬШЕЙ** мере странный способ борьбы с хулиганством применяют городские власти столицы Эфиопии. По местным законам пострадавший обязан содержать обидчика в тюрьме... за свой счет.

Особенно туго приходится владельцам кафе. Представьте себе такую ситуацию—прохожий заказывает еду и выпивку, а потом отказывается платить. Да еще—для «комплекта» — разбивает оконное стекло. Дебош налицо. Однако хулиган и не думает бежать. Прибывшая полиция арестовывает нарушителя порядка, и после этого он целый месяц наслаждается, правда за решеткой, кухней того самого заведения, которому нанес ущерб. Почему владельцы кафе не протестуют? Да просто боятся, что если судебное разбирательство затянется, они совсем разорятся, на бесплатном питании дебоширов.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემ ლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე — 00341